გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ

საქმე №3/7382-22

21 ნოემბერი, 2022 წელი

თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ბაია ოტიაშვილი

მოსარჩელე - ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა

მოპასუხე - საქართველოს მთავრობა

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, საჯარო ინფორმაციის გაცემა

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2022 წლის 25 ოქტომბერს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელმა სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს მთავრობის მიმართ, შემდეგი სასარჩელო მოთხოვნით:

1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირის ვირტუალური უარი, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გამოცემის შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს ს(ს)იპ მწვანე ალტერნატივაზე" 2022 წლის 14 სექტემბრის N22/09/03-93 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით სარჩელზე დადგინდა ხარვეზი, რომლის შესავსებად მხარეს განესაზღვრა 10 დღე, განჩინების ჩაბარების მომენტიდან.

2022 წლის 16 ნოემბერს მოსარჩელე მხარემ ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მომართა სასამართლოს და წარმოადგინა მტკიცებულებები, მათ შორის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ სარჩელს შეამოწმა მისი

დასაშვებობის და წარმოებაში მიღების წინაპირობები და მიაჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე მუხლების მოთხოვნებს და მიღებულ უნდა იქნეს სასამართლო წარმოებაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26^2-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს და ამ ეტაპზე დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების გათვალისწინებით, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოდან დამატებითი მტკიცებულებების სახით გამოთხოვილ უნდა იქნას ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

ამავე კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა, განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის განხილვის საპროცესო ვადა უნდა გაგრძელდეს 5 თვემდე.

სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13, მე-19, 22-25ე, 26^2-ე, მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 103-ე, 284-ე, 414-ე, 445-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას სარჩელი მიღებული იქნეს სასამართლო წარმოებაში და ამ ეტაპზე დასაშვებად იქნეს ცნობილი;

2. დაიწყოს მოცემული საქმის მომზადება, მოპასუხე მხარეს გაეგზავნოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების (საბუთების) ასლები, დაევალოს სარჩელზე შესაგებლისა და სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების წარმოდგენა სრულად. დავალების შესასრულებლად მოპასუხეს განესაზღვროს 10 დღის ვადა განჩინების ჩაბარებიდან;

3. საქმის განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდეს 5 თვემდე;

4. განჩინება არ საჩივრდება.

მოსამართლე **ბაია ოტიაშვილი**